დანართი 3

ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) 1 ლოტად გადაცემის პირობები:

1. სარგებლობის უფლების ვადა - 2 წელი
2. იჯარის გადასაცემი ქონების ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება - 1992 (ათას ცხრაასოთხმოცდათორმეტი) ლარი.

3. ობიექტში მომსახურების სიხშირე - მომსახურე პერსონალმა უნდა უზრუნველყოს 1 მომხმარებლის მომსახურება საშუალოდ 3 წუთში; ამ პირობის დაკმაყოფილებას ოპერატორი შეძლებს, სალაროში წვრილი კუპიურების მუდმივი არსებობით/მომხმარებლის დაუყოვნებელი გასტუმრების აუცილებელი პირობა/კვალიფიციური მუშა - ხელის საჭირო რაოდენობით და სხვა აუცილებელი პირობებით მუდმივი ორგანიზებულობის აუცილებელი პირობაა (საკვები პროდუქტის დროული მომზადება და მიწოდება, სუფთა კვების ობიექტის გარნიტურის მუდმივი მზაობა და სხვა).

4. მომსახურების ფასები - საიჯარო ფართში მომსახურების ფასები გათვლილი უნდა იყოს საშუალო სახელფასო ანაზღაურების მქონე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელზე და შესაბამისად მოიჯარე უნდა ითვალისწინებდეს სადილის პაკეტს მინიმალური ღირებულებით - 7 ლარი, რომელიც უნდა შედგებოდეს წვნიანი კერძის, ძირითადი კერძის (რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ნებისმიერი სახის ცხელ კერძს და შესაბამის გარნირს. დეტალიზაცია მოცემულია პირობების მე-7 პუნქტში), პურისა და გამაგრილებელი სასმელისაგან (0.250 ლ გამაგრილებელი გაზიანი ან უგაზო სასმელი).

5. ნედლეული - იკრძალება გაყინული იმპორტირებული ხორცის, ვადაგასული კონსერვებისა და სხვა ნედლეულის, მარკირების გარეშე და საეჭვო წარმოების ნებისმიერი პროდუქტის გამოყენება.

6. პროდუქტის ხარისხი - იკრძალება მალფუჭებადი პროდუქტების (ნიგვზიანი, ღორის ხორცის, საქონლის ხორცისა და შიგთავსის და თევზისგან დამზადებული საკვების) რეალიზაცია მომზადებიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ. ასევე იკრძალება გამოყენებული (გაცხელებული) ცხიმისა და ცხიმის შემცველი პროდუქტების ხელმეორედ გამოყენება მისი გაციების შემდგომ. ასევე იკრძალება წინა დღეს მომზადებული საკვების შემდგომ გამოყენება და რეალიზაცია.

7. კვების ობიექტში წარმოდგენილი მენიუ უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს ნეტო წონებთან მიმართებაში:

წვნიანი - 0.300 ლ;

გარნირი - (კარტოფილი შემწვარი, კარტოფილი ჩაშუშული, წიწიბურა, ბრინჯი, პიურე, სპაგეტი) – 200-250 გრ;

ცხელი კერძი - (სოკო შემწვარი ან ჩაშუშული, ბიფსტროგანოვი, კოტლეტი საქონლის ხორცის, საქონლის ხორცი შემწვარი ან მოხარშული, სორდელი, სოსისი, კოტლეტი ქათმის, თევზი, ფრინველის ხორცი შემწვარი ან მოხარშული) -120-150 გრ;

ცივი საუზმე - (ბოსტნეული და ხორციანი სალათები, სხვადასხვა სოუსით)

ფხალეული - (ისპანახი, ჭარხალი, პრასი და სხვ) – 150-150 გრ;

რძის პროდუქტები - (მაწონი, იოგურტი, კეფირი, ხაჭო, რძე);

საკონდიტრო ნაწარმი - ნამცხვრები და ფუნთუშები;

უალკოჰოლი სასმელი - ყავა, ჩაი, ნატურალური წვენები, მინერალური წყლები;

ხილი - (სეზონური).

8. ყავის ან ყავის აპარატისათვის განკუთვნილი თვითმომსახურების სივრცის მოწყობა.

9. მე-7 პუნქტში არსებული მენიუს ჩამონათვალი არ ზღუდავს მოიჯარეს წარმოადგინოს ნებისმიერი პროდუქტის სხვა ნებისმიერი რაოდენობრივი დანაყოფი თავისი შეხედულებისამებრ, დამატებით.

10. პროდუქტის მრავალფეროვნება - აუცილებელია მოიჯარემ გაითვალისწინოს მომხმარებლის რაოდენობა და მათი პრეფერენციები, რომელიც გულისხმობს თითოეული კატეგორიის კერძის მინიმუმ სამი ნაირსახეობის არსებობას.

11. იჯარის საგნის ოპერირება - სავალდებულოა კვების ობიექტის ფუნქციონირება (მზაობა მომხმარებლის მიღებისათვის) დაიწყოს 9:00 საათზე და დასრულდეს 20:00 საათზე.

12. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - კვების ობიექტის ავეჯის და ინვენტარის გადაბარება და მოვლა-პატრონობა საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში (დანართი 1).

13. მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს დამხმარე ნაგებობების (ჰაერსადენი არხების მოდინება და გადინება, ასევე გამწოვი ძრავების) მოვლა-პატრონობის და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა.

14. მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

15. მოიჯარის მიერ შესასრულებელი აუცილებელი პირობა - „ტექნიკური რეგლამენტის - „საცალო ვაჭრობაში დაუფასოებელი პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის ჰიგიენური პირობებისა და წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N10 დადგენილებით გათვალისწინებული წესების დაცვა.

16. მეიჯარე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს კვების ობიექტი და განახორციელოს კონტროლი, სახელშეკრულებო პირობების და სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის შესაბამისობის დადგენის მიზნით, დამოუკიდებლად ან მესამე პირის მეშვეობით. დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება.

17. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ის შესაბამისად, აუქციონში გამარჯვებულ პირთან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო აფორმებს იჯარის ხელშეკრულებას.